

შპს “ფალავანი“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ასარჩევი

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-16

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017-2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	31-12-19	31-12-18	31-12-17
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	710,203	124,498	387,805
სავაჭრო მოთხოვნები	6	2,026,461	681,125	397,059
გადახდილი ავანსები		-	-	-
მარაგები	7	3,040,245	1,743,187	1,615,055
მზა პროდუქცია		52,795	186,866	22,475
სხვა		2,987,450	1,556,321	1,592,579
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	8	582,276	162,358	205,814
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	9	4,271	2,830	2,900
ძირითადი საშუალებები	9	1,184,030	797,874	773,932
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
სულ აქტივები		7,547,486	3,511,872	3,382,564

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	1,935,984	454,987	298,904
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		15,315	76,800	41,400
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	3,668,974	2,249,949	2,358,066
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები	12	1,587,252	1,176,844	955,820
სულ ვალდებულებები		7,207,525	3,958,580	3,654,191

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	75,814	75,814	75,814
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		264,147	(522,522)	(347,440)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სხვა რეზერვები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		339,961	(446,708)	(271,626)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		7,547,486	3,511,872	3,382,564

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2018-2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2019 წელი	2018 წელი
ნეტო ამონაგები		6,224,360	2,403,212
საქონლის გაყიდვიდან	3	5,984,452	2,305,104
მომსახურების გაწევიდან	3	239,908	98,108
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,452,212)	(1,499,190)
საწყისი მარაგები		(1,743,187)	(1,615,055)
მარაგების შესყიდვა		(4,749,271)	(1,562,752)
გადამუშავების დანახარჯები		-	(64,570)
საბოლოო მარაგები		3,040,245	1,743,187
საერთო მოგება		2,772,148	904,022
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(428,698)	(414,754)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(135,781)	(98,649)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი (-)		(318,980)	(269,165)
იჯარის ხარჯი (-)		(76,768)	(68,171)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4	(627,120)	(300,534)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,587,347)	(1,151,273)
საოპერაციო მოგება		1,184,801	(247,251)

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები (-)	-	-
მარაგები (-)	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(398,765)	67,760
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	633	4,409
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	786,669	(175,081)
მოგების გადასახადი (-)	-	-
მოგება/(ზარალი)	786,669	(175,081)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	786,669	(175,081)
 საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	 (446,708)	 (271,626)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	339,961	(446,708)

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018-2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2019 წელი	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	87,311	(100,644)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(521,866)	(122,306)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1,419,025	(108,117)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	984,470	(331,067)
სავალუტო კურსის ეფექტი	(398,765)	67,760
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	124,498	387,805
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	710,203	124,498

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფალავანი“ (ს/ნ 217886562) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 1996 წლის 21 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, გორი, შინდის გზატ. №19. და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ახმეტა, სოფ ქისტაური .

შპს „ფალავანი“-ს მესაკუთრეები არიან: 1) მერი ქიბროწაშვილი (პ/ნ 65002000200) - 40%; 2) ირაკლი კოტეტიშვილი (პ/ნ 01024002965) – 35%; 3) შპს „გრადნ გურმე“ (ს/ნ 7842509000, რუსეთის ფედერაცია) – 25%. კომპანიის დირექტორი არის გიორგი ფოჩხიძე (პ/ნ 01024010625). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ღვინის წარმოება ყურძნისაგან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
არამატერიალური აქტივები	4%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
შემოსავალი მზა-პროდუქციის მიწოდებიდან	5,982,796	2,301,143
შემოსავალი საწარმოო მასალების მიწოდებიდან	1,656	3,961
შემოსავალი ჩამოსხმისა და შეფუთვის მომსახურებიდან	229,400	87,037
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	10,508	11,071
	<u>6,224,360</u>	<u>2,403,212</u>

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
მიმდინარე რემონტის ხარჯი	5,464	-
საწვავის ხარჯი	32,072	26,285
ნიმუშების გაგზავნის ხარჯი	489	-
რეკლამის ხარჯი	16,102	-
ტრანსპორტირების ხარჯი	22,104	15,827
საგადასახადო ხარჯი	16,404	27,028
კომუნიკაციის ხარჯი	3,058	1,633
წარმომადგენლობითი ხარჯი	42,032	24,544
დასუფთავების ხარჯი	3,876	-
ძირითადი საშუალებების	5,599	8,327
საექსპლუატაციო ხარჯი		
მივლინების ხარჯი	42,456	12,003
შეფუთვისა და ჩამოსხმის	238,895	73,718
მომსახურებასთან დაკავშირ. ხარჯები		
ბუნებრივი აირის ხარჯი	1,919	1,493
ელ. ენერგიის ხარჯი	13,676	9,579
საოფისე ხარჯი	1,521	2,449
საკანცელარიო ხარჯი	2,401	2,167
საბაჟო-სატერმინალ მომსახურების	1,500	300
ხარჯები		
სამეურნეო ხარჯი	10,930	11,761
იურიდიული მომსახურების ხარჯი	1,362	2,752
ბანკის მომსახურების ხარჯი	12,653	6,872
დეფუსტაციის სერთიფიკატების ხარჯი	3,456	3,895
საპენსიო შენატანის ხარჯი	9,192	-
ღვინის ანალიზის ხარჯი	15,354	5,349
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	6,356	6,356
დიზაინერული მომსახურების ხარჯი	61,821	35,380
საგადასახადო ჯარიმებისა და საურავების	24	-
ხარჯი		
სხვა მომსახურების ხარჯი	50,335	14,491
ქველმოქმედების ხარჯი	-	625
სხვა ხარჯი	6,069	7,700
	627,120	300,534

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	462,289	59,242
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	11,689	10,096
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	236,225	55,160
	<u>710,203</u>	<u>124,498</u>

6. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები რეზიდენტი საწარმოების მიმართ	954,476	405,845
მოთხოვნები არარეზიდენტი საწარმოების მიმართ	1,071,985	275,280
	<u>2,026,461</u>	<u>681,125</u>

7. მარაგები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
მზა-პროდუქცია	52,795	186,866
დაუმთავრებელი წარმოება	2,459,991	1,345,151
ნედლეული	4,987	4,832
მასალები	519,955	204,717
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2,517	1,621
	<u>3,040,245</u>	<u>1,743,187</u>

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები ანგარიშვალდ. პირის მიმართ	160,337	1,967
საგადასახადო აქტივები	382,708	120,312
სხვა მიმდინარე აქტივები	39,231	40,079
	<u>582,276</u>	<u>162,358</u>

9. სავაჭრო ვალდებულებები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
ვალდებულებები საქონლის მოწოდებიდან	1,805,291	414,169
ვალდებულებები მომსახურების მოწოდებიდან	130,693	40,818
	<u>1,935,984</u>	<u>454,987</u>

10. სხვა ვალდებულებები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
საპროცენტო ვალდებულებები	1,582,911	1,176,844
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4,341	-
	<u>1,587,252</u>	<u>1,176,844</u>

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრისთვის შეადგენდა 75,814 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 21 სექტემბერს.

შპს „ფალავანი“-ს

დირექტორი: გიორგი ფოჩხიძე /

9. სავაჭრო ვალდებულებები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
ვალდებულებები საქონლის მოწოდებიდან	1,805,291	414,169
ვალდებულებები მომსახურების მოწოდებიდან	130,693	40,818
	<u>1,935,984</u>	<u>454,987</u>

10. სხვა ვალდებულებები

	<u>2019 წელი</u>	<u>2018 წელი</u>
	ლარი	ლარი
საპროცენტო ვალდებულებები	1,582,911	1,176,844
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4,341	-
	<u>1,587,252</u>	<u>1,176,844</u>

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის და 01 იანვრისთვის შეადგენდა 75,814 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 21 სექტემბერს.

შპს „ფალავანი“-ს

დირექტორი: გიორგი ფოჩხიძე



გიორგი ფოჩხიძე